სახალხო გაზეთი

№ 713 ოთხშაბათი, 3 ოქტომბერი 1912 წ. № 713

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და [illegible] პარაკები შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართულ „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

კანტორისაგან

1912 წ. პრემია „**გრდემლის**" **მისაღებად** უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა

1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ღვინობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 2 მ. და 25 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ტელეფ. № 795. ## ქართული თეატრი **ტელეფ. № 795.**

ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს, 1912 წ.

ქართ. დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგ. იქნება

ვ. აბაშიძის და ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით **შეშლილია** პიესა 3 მოქმედებ. თარგ. ვ. აბაშიძისა

2) **გაცრუებული იმედები,** კომ. 2 მოქ. ნ. აზიანისა.

მონაწ. ქალბატონ ქ-ნი აბაშიძე, ლოლუა, ქიქოძე, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი, ციციშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, აბდუშელი, ალექსიძე, გედევანოვი, მესხი, მატარაძე, გალობლიშვილი, ქევიძე, სარაული, ციციშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

თეატრის დირექცია დაბეჯითებითა სთხოვს ბ. მაყურებელთ, ფარდის ახდამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში აღარავის შეუშვებენ.

ანონსი: კვირას, 7 ოქტომ., **წარმოდგ.** იქნება „მსხვერპლი" ი. გედევანიშვილისა.

5141. რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.** ქართ. დრ. საზ. ადმინ.

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.

ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს. მხცოვან **აკაკის** მონაწილეობით გაიმართება

სალიტერატურო-სამუსიკო საღამო

სამს განყოფილებად:

I

აკაკი, ს. მგალობლიშვილი და ახალგაზრდა მწერლები: გ.გ. ახოსპირელი, ქუჩიშვილი, გრიშაშვილი, ევდოშვილი, ირეთელი და სხვ. წაიკითხავენ თავის ნაწარმოებთ; მსახიობი **ო. ლეჟავა** და 10 წლ. მარო ირემაშვილი წაიკითხავენ ლექსებს; გ.გ. გოცირიძე და ბაქრაძე იმღერებენ კუპლეტებს.

II

სტ. ი. ირემაშვილი და მისი სამი შვილი ქართულ ტანისამოსებში აკაკის თანადასწრებით იმღერებენ: 1) იავნანა, 2) კავკასიის მაღალ ქედზე, 3) ჩონგურს სიმები და სხვა. სიმღერების დროს იქნება ფერადი შუქით განათებული შესაფერი სურათები.

III

ტფილისის ქართული საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდი მ. კავსაძის ლოტბარობით გლეხურ ტანისამოსებში გამოწყობილი შეასრულებს პატარა სცენებს სოფლის ცხოვრებიდან ხალხური სიმღერებით.

დასაწყისი საღამოს 3 საათზე ბილეთების ფასი 20 კ.—1 მ.

გამგე ს. მგალობლიშვილი. რეჟისორი ა. წუწუნავა. 709.

კ. ი. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ტფილისის ჟურნალისტთა საზოგადოება ორშაბათს, 8 ოქტომბერს ჰმართავს

სალიტერატურო საღამოს „რუსეთის ინტელიგენციის საზოგადო დახასიათება" ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვო"-ს სახსოვრად.

პროგრამა: 1. ანენსკის ხსოვნის აღსანიშნავად სიტყვას იტყვის დ. ი. სოსნოვსკი, 2. ნაროდნიკების იდეალები კაზმულ მწერლობაში, წაიკ. ი. ვ. პალმოვი. 3. ჩაიკოვსკის რომანსებს შეასრულებს მ. გ. მინკევიჩი. 4. პ. ფ. მელშინი. სამოქალაქო ლირიკის პოეტი, წაიკ. კ. ა. კოზლოვი. 5. მელოდეკლამაცია, შეასრულ. არტ. ვ. ფ. რადოლინი. 6. ი. კ. მიხაილოვსკი. „რუსკოე ბოგატსტვოს" სალიტერატურო ოჯახის სული, სიტყვა კ. დ. ზელენსკისა. 7. რახმანოვის რომანსებს შეასრ. კ. ო. ვალენსკი. 8. ვ. გ. კოროლენკო. უკანასკნელი სხივი, სიტყვა დ. კ. გეპშტეინისა. აკომპანიმენტს დაუკრავს ე. ნ. სტოგინი. დასაწყისი სწორედ საღ. 8 საათზე. ადგილების ფასი 1 მ. 20 კ.—20 კაპ-მდე. ბილეთები ყოველდღე იყიდება თეატრის კასაში. პასუხისმგებელი გამგე: ჟურნალისტთა საზოკადოების გამგეობა. ადმინისტრატორი თ. ი. დოლიძე. 711.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

საქრისტიანო მოძღვრებ., ფასი 30 კ.
სიტყვა თქმული ერთს კრებაზე, 10 კ.
საეკლესიო ქადაგებანი იოანე ბოლნელისა . . . . . 1 მ.
მოძღვრებანი მღვდ. გამრეკელ. 40 კ.
წესი სამღვდელოსა და საღმრთო ლიტურგიისა წმინდათა შორის მამისა ჩვენისა იოანნე ოქროპირისა . . . 60 კ.
Слова и рѣчи, ეპისკ. გაბრიელი . . . . 2 მ.
Номоканонъ Іоанни Постника, Хаханова . . . . მ.
Правила VI, Вселенскаго собора Хах. . . . . . . 1 მ.
Іерусалимски Канонаръ VII в. Св. Кекелидзе, . . . 2 მ.
Древне-Грузинскій Архіеритикоъ, Кекелидзе . . . . 1 მ
Культурная роль Иверіи въ Исторіи Русси. სამი მანეთის ნაცვლად . . . . . 1 მ. 50 „

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

ქუთაისის ამომრჩეველთა საყურადღებოდ

4 ოქტომბერს დანიშნულია ამომრჩეველთა არჩევანი

აირჩიეთ გრიგოლ ივანეს ძე გველესიანი (იურისტი)
ივანე (კიტა) გიორგის ძე აბაშიძე.
დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი (ნაფიცი ვექილი). 1528

სასტუმრო „უნივერსალი"

(ძველად „მუხრანის ნომრები") ტფილისში, გოლოვინის პროს. სახელმწიფოს და კერძო დაწესებულებათა შუაგულში; ნომრები ახლადაა გადაკეთებული მშვენივრად; დიდად სახერხოა ცოლშვილიანებისთვის. ფაქიზი სი უფთავე, ზრდილობიანი და სხარტი მოსამსახურენი. როგორც კაცები ისე ქალები; ელექტრონული განათება, ცხელი და ცივი ვანები. გვაქვს ორ-ორი და სამ-სამი ოთახი. ფანჯრები და აივნებიც ქუჩის მხარეს აქვთ. ნომერი 40 კ.—5 მანეთამდე ღირს დღე-ღამეში, თვიურად 15 მან. 80 მანეთამდე. თვიურ მდგმურებს დიდ შეღავათს ვაძლევთ ქირაში. **ტელეფ. № 499.** 1481

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 153

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძნელიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible] ქირურ. ავ. (ქირურგიული).	**მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშვილოსნო-ოსნ. ქალთ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკაია-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. [illegible]	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კათეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდ. სიფილ. კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. ბოჭოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606"-ით. 1018

კბილის ექიმი

მამულაიშვილი-ხოდნევისა

წამლობა, პლომბის გაკეთება ფაიფურით და ოქროთი. კბილის ამოღება უტკივილოდ. ოქროს „კორონკები" და „ვსტავკები" (ახალი სისტემის პლომბი, რომელიც არ იშლება და არ ვარდება). ბრუნდი კბილების გასწორება მიღება დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ოლგას ქუჩა № 20, ბინა—5. 1504

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ს. ი. გძელიშვილი

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დილით: 2—4 საათამდე. ბორონცოვისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411

ტფილისის ქართულ გიმნაზიასთან

არსებულ უფასო სასადილოს გამგე ქალთა კომიტეტი აცხადებს, რომ დღეიდან პირველ საათზე იხსნება სასადილო. კომიტეტი სთხოვს საზოგადოების წევრებს დაესწრნენ სასადილოს გახსნას. 1542.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის ახლოვლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 4, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს.

გ. გ. მუგრაბიანცი

შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. წამლობს ტუბერკულინით, რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ.** 7—92. 1497

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ. № 6.

ექიმი ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1530

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

ექიმ ი. ე. ჯაშის პაგინეთი

ამბულატორიით. მიიღებს შინაგ., ღედ. და სადოსტაქრ. ავადმყ. დილ. 8—11 ს. და საღ. 5—8 ს. დიდვანქის ქ., № 6. წინანდელი სადეპეშო კანტორა. 1480.

ექიმი ივ. გომართელი

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება.

ვერაზე, ოლგას ქუჩა № 20. დილის 8—11 ს.-მდე, საღ. 5—7 საათ. 701.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაჯაია .

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 0.49

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **გაფრთხილება! მოვაგონებთ ამომრჩევლთ, რომ კანდიდატების სია უნდა დაიწეროს უსათუოდ ერთს მთელს ან ნახევარს თაბახზე, რომელზედაც სახელისა, მამის სახელისა, გვარის მეტი არაფერი უნდა ეწეროს თუ ამომრჩეველთ ასე არ მოიქცა, მისი საარჩევნო ბარათი გაბათილდება.**

◆ **ილიას ძეგლი.** როგორც გავიგეთ, ილიას ძეგლი საბოლოოდ მოკლე ხანში მზად იქნება და მისი გახსნა დაინიშნება 27 ოქტომბრისთვის. ამავ დღისთვის, როგორც ვწერდით, განზრახულია ილიას დაბადების 75 წლის თავის დღესასწაულის გადახდა.

◆ **ეგ. ნინოშვილის ძეგლი,** როგორც მკითხველებმა იციან, ძწერლის ეგნატე ნინოშვილის ძეგლის მოდელი მოქანდაკე ი. ნიკოლაძემ დაამზადა და ბრინჯაოსაგან ჩამოსასხმელად პარიზს გაჰგზავნა. ძეგლი უკვე დაუმზადებიათ და გამოუგზავნიათ. ამ ჟამად ბათომშია მოსული და ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა.

◆ **ექსკურსია.** ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოსწავლეებისა გუშინ ტფილისიდან ქუთაისს გაბრუნდა. მოსწავლეებმა მასწავლებლების მღვდ. ე. გერსამიასი, ს. ქვარიანისა და ბ-ნ ჩიმაკაძის მეთაურობით რამდენისამე დღის განძავლობაში დაწვრილებით დაათვალიერა ტფილისის შესანიშნავი ადგილები.

◆ „**დროების**" **რედაქტორს ილია აგლაძეს,** რომელიც ადმინისტრატიულის წესით ბაქოშია გადასახლებული, კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო, ტფილისში ერთის თვით დაბრუნდეს.

◆ ტფ. ქართულ გიმნაზიასთან არსებულ **უფასო სასადილოს** გამგე ქალთა კომიტეტი აცხადებს, რომ დღეიდან, პირველ საათზე იხსნება სასადილო.

◆ **რეფერატი.** შაბათს, 29 სექტემბერს, საზოგადო კლუბში **ალ. ბეს. მდივანმა** რეფერატი წაიკითხა შემდეგს თემაზე: „პარლამენტის გარეშე ბრძოლა ინგლისში". რეფერატს საუბარი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ, რადგანაც გვიან იყო, შაბათ, 6 ოქტომბრისთვის გადაიდო.

◆ **თ-დ ირაკ. ვას. ბებურო-ვაჩნაძის** მიერ გამოგონილი **თვით მოძრავი სავარძელი** (სნეულთათვის, სპორტისა და სკეტიგრინგისათვის) ამას წინად მოსკოვში სცადეს და კარგი გამოდგა. (საათში 20 ვერსი გაუვლია). ამ სავარძლის დამზადება გამომგონის ნება-დაურთველად არავის შეუძლიან. მოსკოვში უკვე შემდგარა ამხანაგობა, რომელიც სათანადო ქარხანას აშენებს, თურმე, და შესაფერი მანქანებიც დაუკვეთნიათ. იმავე თ-დ ირ. ვ. ბებურო-ვაჩნაძის გამოგონილ ოფლის შომსპობ ჩულქების დამზადება უკისრნია ინგლისელთა ამხანაგობას.

ორივე წარმოება დაიწყება ასეთის ფირმით: „თ-დი ირ. ვ. ბებურო-ვაჩნაძე და ამხან." ორივე ფირმა გამომგონს აძლევს შემოსავლის 50%. თ-დი ირ. ვაჩნაძე ამ ჟამად ტფილისში ჩამოსულა. ერთი თვის მერე ისევ მოსკოვში დაბრუნდება.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწ. ჟურნალ „**ნაკადულის**" სექტემბრის ნომრები მოზრდილთათვის (№ 9) და მცირეწლოვანთათვის (№ 18). შინაარსი პირველისა: 1) ყვავილების გამყიდველი ქალი, სურათი. 2) სიმღერა გამოსალმებისა—ლექსი კ. აბაშისპირელისა. 3) ქაჯის ზაწარი—ირ. ევდოშვილისა, 4) ბოლოს სინანული გვიანაა—პიესა სამ მოქ. გ. დგებუაძისა. 5) შემოდგომა—ლექსი ხუციშვილისა. 6) ლოცვა. მოთხრ. ჟულავსკისა. 7) ი. ს. გოგებაშვილს,

არბოელისა. 8) , იშვიათი ნიჭის ბავშ. გ. ა—ციხელისა. 9) ელექტრონიანი თევზები—ივ. თ—ძისა. 10) დღესასწაულები სამამულიშვილო ომის გამო რუსეთში, ალ. მ—შვილისა. 11) მითოლოგია, ტროის ომი—ალ. მიქაბერიძისა. 12) მკითხველის წერილები. 18) გასართობები, გამოცანები, რებუსები და ახსნა.

შინაარსი მეორე წიგნისა: 1) დედა და შვილი—სურათი. 2) მტირალა გიშერა—ლექსი, ი. ევდოშვილისა. 3) ჩვენი ნაპერწკალა—ნინო გოგნიაშვილისა. 4) ნამცეცა.—ზღაპარი ანდერსენისა, თარგ. ნინო ნაკაშიძისა. 5) ჩვენი დიდყურა მეგობარი—ი. ელიაშვილისა. 6) თევზი და ვარია (იგავი) ალ. მირიანაშვილისა. 7) გასართობი: რებუსები და ახსნა.

◆ მივაქცევთ ქველ-მოქმედთა ყურადღებას ფოსტის მოხელედ ნამყოფ **ილია იმედაიშვილის** სახლობას ყოვლად უმწეო მდგომარეობაზე. თვითონ იმედაიშვილი დადამბლავებულია. მისი მეუღლე და ხუთი მცირე წლოვანი შვილი საცოდავ მდგომარეობაში არიან და შიმშილით სიკვდილი ელით. იმედია გულმოწყალე ადამიანები მიჰხედავენ ამ უმწეო ოჯახს (ვაგზლის ქუჩა, „ტროი“-ს ნომრები). შემოწირულება ჩვენს რედაქციაშიაც მიიღება.

◆ 30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს ტფილისში 146 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ დღეს, სალამოს 8 საათზე სამეურნეო საზოგადოების დარბაზში (ალექსანდროვის ბაღში) დანიშნულია მორიგი კრება ქართულ სამეურნეო საზოგადოების გამგეობისა, განსახილველია მორიგი კითხვები.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

2 ოქტომბერი.

რუსეთი

მეფის მოადგილის ჩასვლა პეტერბურგში.

პეტერბურგი. მეფის მოადგილე კავკასიაში გრაფი ვორონცოვი, მოვიდა.

კოკოვცევის დაბრუნება

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცევი დაბრუნდა.

პასეკის გარდაცვალება.

მოსკოვი. კლინიკაში გარდაიცვალა დორპატის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი და რექტორი პასეკი.

არჩევნები.

პეტერბურგი. ცნობები მეორე ხარისხის არჩევნებისა: არხანგელის გუბ. 46 ამომრჩეველში ამოირჩიეს 42: 19 მემარჯვენე, 2 მონარქისტი, 7 ოქტომბრისტი, 3 პროგრესისტი, 9 კადეტი, 1 გამოურკვეველი, 1 უპარტიო; ასტახანის გუბ. 46—26: 9 მემარჯვენე, 6 ოქტომბრისტი, 1 პროგრესისტი, 8 კადეტი, 1 მემარცხნე, 3 უპარტიო; ბესარაბიის გუბ. 115—59: 48 ბესარაბიის ცენტრის პარტიის წევრი, 6 ნაციონ., 2 პროგრესისტი, 6 უპარტიო; ვილნას გუბ. 76—47: 1 ოქტომბ., 8 პროგრესის., 1 კადეტი, 1 პოლონ. კოლოს წევრი, 1 კონსტიტუციონალისტი, 2 ნაროდოვცი, 26 უპარტიო, 7 მსხვილ მემამულეთ პარტიის წევრი, 26 უპარტიო; აიტებსკის გუბ. 106—38: 16 მემარჯვენე, 1 ოქტომბრისტი, 3 ნაციონალისტი, 1 პოლონელი ნაციონალისტი, 2 პროგრესისტი, 1 პოლონელ კოლოს წევრი, 5 კადეტი, 4 მემარჯვენე, 4 უპარტიო; ვლადიმირის გუბ. 89—70: 5 მონარქისტი, 34 მემარჯვენე, 1 ნაციონალისტი, 11 ოქტომბრისტი, 10 კადეტი, 9 მემარცხენე; ვოლოგდის გუბ. 75—14: 8 მემარჯვენე, 2 ნაციონალისტი, 1 ოქტომბრისტი, 1 კადეტი, 2 უპარტიო; ვოლინის გუბ. 158—36: 16 მემარჯვენე, 2 ოქტომბრისტი, 1 პოლ. კოლოს წევრი, 5 უპარტიო! სუკრაინოფილი, 2 გამოურკვეველი; ვოროჟენის გუბ. 140—51: 23 მემარჯვენე, 3 ნაციონალისტი, 2 პროგრესისტი, 5 კადეტი, 17 უპარტიო; ვიატსკის გუბ. 109—73: 3 მონარქისტი, 54 მემარჯვენე, 5 უპარტიო. გროდნოს გუბ. 107-90: 3 რუსის ხალხის კავშირის მომხრე, 46 მემარჯ., 4 რუსი ნაციონალისტი, 1 ოქტომბრისტი, 1 ებრაელი ნაციონალისტი, 2 პოლონელი ნაციონალისტი, 1 კონ.-კათოლ. პარტიის წევრი, 5 ნაროდოვცევი, 1 პროგრესისტი, 1 მემარცხენე, 18 უპარტიო; ეკატერინოსლავის გუბ, 108—99: 36 მემარჯვენე, 1 მონარქ., 1 ზომიერი, 24 ოქტომბრისტი, 10 ნაციონალისტი, 1 კადეტი, 4 პროგრესისტი, 1 სოციალ-დემოკ. 1 მემარცხენე, 2 უკიდურესი მემარცხენე, 14 უპარტიო; კალუგის გუბ. 77—76: 9 მონარქისტი, 22 მემარჯვენე, 2 ზომიერი მემარჯვენე, 2 ნაციონალისტი, 11 ოქტომბრისტი, 10 პროგრ., 16 კადეტი. 4 მემარცხ.; კიევის გუბ. 150—108: 1 რუსი ხალხის კავშირის წევრი. 3 მონარქისტი, 56 მემარჯვენე, 30 ნაციონალისტი, 2 ოქტომბოისტი, 6 კადეტი, 9 მემარცხენე, 1 უკიდურესი მემარცხენე; კოვნოს გუბ. 75—62: 25 მემარჯ., 6 ლიტოველი ნაციონალისტი, 4 პროგრესისტი, 1 კადეტი, 6 მემარცხენე, 20 უპარტიო; კოსტრომის გუბ. 90—74; 31 მემარჯვენე, 5 ზომიერი, 12 ოქტომბრისტი, 5 პროგრესისტი, 12 კადეტი, 1 მოსკოვის ვაჭართა პროგრესულ პარტიის წევრი, 6 მემარცხენე, 2 უპარტიო; კურლანდიის გუბ. 62—13: 3 მემარჯვენე, 1 ოქტომ., 1 პროგრ., 4 მემარცხ., 4 უპარტიო; კურსკის გუბ. 137—75: 41 მონარქისტი, 29 მემარჯ., 2 უპარტიო, 1 კადეტი, 1 შრომის ჯგუფელი, 1 ესდეკ.; ლიფლიანდიის გუბ. 78—68: 15 მემარჯ., 13 ბალტიის კონსტ-მონარქ. პარტიის წევრი, 6 ზომიერი, 18 ოქტომბრისტი, 7 პროგრესისტი, 6 კადეტი, 1 უკიდურესი მემარცხენე, 2 უპარ.; მინსკის გუბ.; 137—101: 54 მემარჯ., 23 ნაციონალისტი, 11 პროგრესისტი, 2 კადეტი, 1 პოლ. ნაციონალისტი, 4 მემარცხენე, 1 უკიდურესი მემარცხენე, 5 უპარტიო. მოგილევის გუბ. 125 97: 5 მონარქისტი, 28 მემარჯვენე, 6 ზომიერი, 12 ნაციონალისტი, 4 ოქტომბრისტი, 2 პოლონელი ნაციონალისტი, 5 ზომიერი უპარტიო. მოსკოვის გუბ.; 94 88: 54 მემარჯ., 5 ოქტომბრ., 1 პროგრეს., 18 კადეტი, 10 მემარცხენე; ნიჟე-გოროდის გუბ.; 100—45: 37 მემარჯ., 1 ნაციონალ., 1 ზომიერი მემარჯ.; 1 ოქტომბ., 2 მონარ., 1 კად., 1 პროგრესისტი, 1 უპარტიო; ნოვოგოროდის გუბ.; 98—79. 49 მემარჯ., 1 ზომიერი მემარჯ., 1 ნაც., 13 ოქტომბ., 1 კად., 9 მემარცხ., 4 უპარტიო; ორენბურგის გუბ.; 60—9: 2 პროგრ., 3 კად., 1 შრომის ჯგუფი, 2 სოც.-დემ. ორლოვის გუბ.; 113—95: 9 უკიდ. მემარჯ., 47 მემარჯ., 7 ზომიერი მემარჯ., 4 მონარქ., 9 ოქტომბრისტი, 6 პროგრ. 2 ნაციონალისტი, 4 კად. 1 მემარც., 5 უპარტიო. პოდოლის გუბ.; 150—39: 17 მემარჯ., 21 ნაციონ., 1 პროგ. პოლტავის გუბ.; 155—148: 82 მემარ., 7 მონარქ., 4 ზომ. მემარჯ., 10 ნაციონალ. 4 ოქტომ., 6 პროგ., 7 მემარცხენე, 2 სოც.-დემოკრ., 6 უპარტიო. პსკოვის გუბ.; 170—12: 11 მემარჯვენე, 1 მემარც.; რიაზანის გუბ.; 104—9: 1 უკიდ. მემ., 1 მემარ., 4 კადეტი, 1 ზომიერი, 1 პროგრესისტი. სამარის გუბ. 131—34: 23 მემარჯ., 1 ოქტ., 9 მემარც., 1 სოც.-დემ., პეტერბურგის გუბ. 70-37: 3 მონარქისტი, 5 ნაციონალისტი, 4 ზომიერი მემარჯვენე, 1 მემარჯვენე, 2 ოქტომბ., 1 კადეტი, 1 უკიდურესი მემარჯვენე, 4 უპარტიო, ს რატოვის გუბ. 127—26: 1 უკიდურესი მემარჯვენე, 15 მემარჯ., 9 მემარცხენე, 1 უპარტიო. სმოლენსკ გუბ. 95—88: 40 მემარჯვენე, 24 ო ტომბრისტი, 10 პროგრესისტი, კადეტი, 7 მემარჯვენე, 3 უპარტიო თავრიდის გუბ. 86—12: 1 უკიდურესი მემარჯვენე, 1 ზომიერი მემარჯვენე, 3 ოქტომბრისტი, 1 პროგრესისტი, 6 კადეტი. ტამბოვ გუბ. 125—53: 4 უკიდურესი მემარჯვენე, 24 მემარჯვენე, 1 ნაციონალისტი, 4 ოქტომბრისტი, 15 კადეტი, 4 უპარტიო, 1 მემარცხენ ტვერის გუბერნიაში 106—27: 4 მ მარჯვენე, 1 ზომიერი, 7 ოქტომბრისტი, 2 პროგრესისტი, 1 დე პარტიის წევრი, 10 კადეტი, მემარჯვენე; ტულის გუბ. 110—1 3 მემარჯვენე, 1 პროგრესისტი, მუსულმ. ფრაქცია, 3 კადეტი, 2 მ მარცხნე, 1 სოციალ-დემოკრატ ხარკოვის გუბ. 134—122: 76 მემარჯ 14 ოქტომბრისტი, 8 კადეტი, 4 პროგრესისტი, 10 უპარტიო; ხერსონ გუბ. 135—4: 3 კადეტი, 1 სოც.-დემოკრატ.; ჩერნიგოვის გუბ. 127—4 30 მემარჯვენე, 1 ნაც., 7 ოქტომბ 6 მემარცხნე; იაროსლავის გუბ. 77—23: 14 მემარჯვენე, 2 პროგრ., 5 კადეტი, 2 უპარტიო; ესტლიანდიი გუბ. 46—39: 26 კონსტ.-მონ. ბალტიის წევრი 2 სოც.-დემოკ., 3 უპარტიო.

აირჩიეთ ჩვენი კანდიდატები!

პირველი საარჩევნო უბანი

|1, 2, 11 და 12 საპოლიციო უბანი|

არჩევნები მოხდება ქალაქის შრომის ბირჟის დარბაზში, ვერის მოედანზე.

— აირჩიეთ: —

1 **ალექსანდრე ბესარიონის ძე მდივანი,** (პედაგოგი)

ქართულ გიმნაზიის დირექტორი, გუნიბის ქუჩა, № 10.

2. **მიხეილ ალექსანდრეს ძე გედევანიშვილი,** (ექიმი)

ყოროღანოვის ქუჩა, № 20.

მეორე საარჩევნო უბანი,

|10, 9, 8 და 7 საპოლიციო უბანი|

არჩევნები მოხდება ზუბალაშვილის სახალხო სახლში.

აირჩიეთ:

1. **ვახტანგ სოლომონის ძე მუსხელიშვილი,** (ექიმი)

ველიკოკნიაჟსკაია ქუჩა, № 67.

2. **ნიკოლოზ მიხეილის ძე მელიქიშვილი,** (ექიმი)

კერძო სამკურნალოს გამგ. ქსენიევის ქუჩა, № 7.

3. **შალვა ანტონის ძე მიქელაძე,** (ექიმი)

კახეთის ქუჩა, № 1.

ამომრჩეველნო!

დღეს თვითოეულმა თქვენგანმა მოქალაქობრივი ვალი უნდა მოიხადოს: დღეს უნდა ამოირჩიოთ ის პირნი, რომელნიც მერე დეპუტატს აირჩევენ სათათბიროში. დღეს უნდა დაამტკიცოს ამომრჩეველმა, უნდა თუ არა, რომ სათათბიროში ეროვნულ ინტერესების დამცველი დეპუტატი წავიდეს. ამომრჩეველი თვალხილულად უნდა უცქეროდეს საქმეს. უნდა ნათლადა ჰქონდეს წარმოდგენილი, ვინ იბრძვის დღეს, ვის რანაირი იდუმალი გულის ზრახვა ამოძრავებს.

საარჩევნო ბრძოლის დროს სხვა და სხვა ჯგუფები ჰმოქმედებენ, აწყობენ კომბინაციებს, ადგენენ ათასნაირ საარჩევნო პროგრამებს, მაგრამ ყველა ამ ჯგუფების მოქმედებაში წითელი ზოლივით გადის ორი მთავარი აზრი: ერთი ნაწილი, სომხის ბურჟუაზია და ქართველი სოციალ-დემოკრატია, მთელის თავის არსებით შეებრძოლება ისეთს კანდიდატს, რომელიც სათათბიროში საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე ილაპარაკებს; მეორე ნაწილი კი წინააღმდეგს აზრს ადგია. ეხლა ამომრჩეველმა უნდა გადასწყვიტოს, ვის თანაუგრძნობს: პირველებსა თუ მეორეთ. მაგრამ მარტო ამის გადაწყვეტა არა კმარა. ამომრჩევლებმა უნდა შეიგნონ, რომ თვითოეულ ხმას დიდი მნიშვნელობა აქვს. ქართველმა ამომრჩევლებმა უნდა შეიგნონ, რომ ის, ვინც ხმას ჩვენს იდეიურ მოწინაალმდეგეს მისცემს, გააძლიერებს სომხის ბურჟუაზიის სასურველ ჯგუფს. ამიტომ, ვისაც უნდა საქართველოს ეროვნული ინტერესი დაიცვას, შავი კენჭი უნდა მისცეს ყველას, ვინც საქართველოს განსაკუთრებულ ინტერესებს უარჰყოფს.

გამარჯვებისთვის საჭიროა თანხმობა. თუ ამომრჩევლებმა დაქსაქსულად იმოქმედეს, შემთხვევით შეიძლება არა სასურველ კანდიდატი. გავიდეს, და მაშინ გვიანღა იქნება ამიტომ თანხმობა უმთავრესია.

ამომრჩეველნო! ისარგებლეთ თქვენის უფლებით, მიდით არჩევნებზე და ხმა მიეცით ჩვენს მიერ დასახელებულ კანდიდატებს.

დღევანდელი არჩევნები

მიაქციეთ ყურადღება!

დღევანდელ ნომერთან ერთად ჩვენს ტფილისის ხელის მომწერლებს ურიგდებათ საარჩევნო ბარათები. ამომრჩეველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ერთი, რომელშიაც ორი კანდიდატია დასახელებული—ალექსანდრე ბესარიონის ძე მდივანი და მიხეილ ალექსანდრეს ძე გედევანიშვილი, **პირველ საარჩევნო უბნისთვისაა,** მეორე ბარათი კი, რომელშიაც სამი კანდიდატია დასახელებული,—ვახტანგ სოლომონის ძე მუსხელიშვილი, ნიკოლოზ მიხეილის ძე მელიქიშვილი და შალვა ანტონის ძე მიქელაძე—**მეორე საარჩევნო უბნისთვისაა.** ვინც პირველ საარჩევნო უბანში მიიღებს მონაწილეობას, ორ კანდიდატიანი ბარათი უნდა ჩასდოს კონვერტში, ვინც მეორეში—სამ კანდიდატიანი.

საარჩევნო ბარათების მიღება ამომრჩეველთ შეუძლიათ „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

არჩევნები ჩვენში

დღეს, 1 საათზე, კრება ექნება ტფ. სამაზრო საარჩევნო კომისიას, რომელიც განიხილავს საკითხს: კანონიერი იყო თუ არა რუსთა კურიის ამომრჩეველთა არჩევნები.

ბევრი ქალაქის ამომრჩევლებს ურჩევს, ხმა ანდრონიკაშვილს მიეცითო. ვაფრთხილებთ ამომრჩევლებს, რომ ანდრონიკაშვილს ცენზი აქვს არა ტფილისში, არამედ სოფლად. ვინც ამ ხმას ავრცელებს, იმას უნდა საქმე იქამდის მიიყვანოს, რომ საარჩევნო ფურცლები გააბათილონ. ტფილისის ამომრჩევლებმა ხმა უნდა მისცენ იმათ, ვინც ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერშია გამოცხადებული.

ხმა თელავიდან.

წელიწადი სრულდება, რაც თელავში დაარსდა მომხმარებელი საზოგადოება, რომლის უმთავრესი მიზანია მაღაზიის გახსნა. საზოგადოების წესდებაც პირველშივე დაამტკიცეს, წევრებსაც დაუწყეს ჩაწერვა, პაი მხოლოდ 6 მანეთი ღირს და თუმცა მისი გადახდაც ნაწილ-ნაწილ შეიძლება, მაგრამ ამ უკანასკნელთა რიცხვი ისე მცირეა, რომ პაის ფული ას თუმნამდე ვერც-კი შეიკრიბა. ამ საქმის მოთავე და დამწყობი თავ. ზ. რ. ჭავჭავაძე ბევრს ეცადა გაემრავლებინა წევრთა რიცხვი, მაგრამ ჩვენს საზოგადოებას ერთი ახირებული ზნე სჭირს, მას უნდა ჯერ საქმის დაწყობა და მერე მონაწილეობის მიღება. მაღაზია როგორ გაიხსნება თუ ფართო მასსამ არ მიიღო მონაწილეობა, თუ საქმის დასაწყებად საკმარისი საწევრო ფული იმდენი არ შეიკრიბა, რომ საკმარისი იყოს.

ასეა საქმე, მაგრამ მაინც საზოგადოების მოთავენი ჰლამობენ ამ გარემოებას როგორმე სძლიონ. 16 სექტემბერს მოხდა ამ საზოგადოების წევრთა კრება. ბევრი ლაპარაკის შემდეგ გამოირკვა, რომ პაის მომატების იმედი ნაკლებია. არსებულ თანხით-კი საქმის დაწყობა მოუხერხებელია. ამისათვის დაიბადა ორი აზრი ან საზოგადოებას უნდა შეეჩერებინა თვისი მიზნის განხორციელება, ვიდრე რამდენიმე ასეული წევრი არ ჩაეწერებოდა, რის იმედიც სრულიად არ იყო, ან ფული უნდა ეშოვნათ დროებით, სესხად... დამსწრეთ მეორე აზრი დაადასტურეს, მით უმეტეს რომ გამოჩნდნენ ისეთი პირნი, რომელნიც ფულს იძლევიან. ამავე კრებაზე ამოირჩიეს გამგეობის, სარევიზიო და ზედამხედველი კომისიის წევრები. დასასრულ კრებამ მადლობა გადაუხადა თავ. ჭავჭავაძეს ამ სასარგებლო საქმის დაწყებისათვის, რომელმაც სხვისი დაუხმარებლივ განხორციელების კარამდე მიიყვანა ეს საქმე.

დავიწყებული.

დეპეშა

ქუთაისი.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

სამაზრო კომისიამ გაშავებულ ვლადიმერ მიქელაძეს ნება მისცა დამატებითი არჩევნების დროს ხელმეორედ იყაროს კენჭი. ლეჩხუმისა და ოზურგეთის მემამულეთა არჩევნები განასაჩივრეს. ბანძის არჩევნები ჩაშალეს.

ბალკანეთის ომი.

დეპეშები.

2 ენკენისთვე.

ოსმალების საზღვარს გადასვლა.

ბელგრადი. 1 ოქტომბერს, დილით ადრე, ოსმალეთის ჯარი გადავიდა სერბიის საზღვარს, რისტოვაცისა და ვრტოგოშების შუა ბრძოლა დაიწყო.

კაირი. ოსმალეთი ოფიციალურად ატყობინებს ეგვიპტეს ჩერნოგორიასთან უთანხმოებას. როცა იტალიას გამოუცხადა ომი, მაშინ ოსმალეთს არ შეუტყობინებია ეგვიპტესთვის, რათა ნეიტრალი დაეცვა.

სტამბოლი. ბრძოლა ბერთანის ახლო სწარმოებს. ჩერნოგორელები თავს ესხმიან გურინიეს, ჰლავუს, ბელოპოლიეს. ოსმალონი თავგამოდებით იცავენ სიმაგრეებს. ოსმალები იმარჯვებენ გუსინიეს ახლოს ტყვის გარშემო ბრძოლაა. ჩერნოგორელები, რომელნიც სკუტარიის ტბის და ზღვის შუა მიმდინარეობდა, ოსმალებმა ჰრანის მახლობლად შეაჩერეს.

ბელგრადი. მთავრობამ გადასცა პასუხი ავსტრიას და რუსეთს. ძველი რადიკალები, ახალგაზდა რადიკალები და ნაპრედნიაკები შეთანხმდნენ საერთო მოქმედებაში.

ვენა. ავსტრია-ჰუნგრეთის ელჩი პეტერბურგში წავიდა. ჩრდილო რაზმმა, გენერალ ვუკოვიჩის უფროსობით დაიპყრო ფრიად ხელსაყრელი პოზიცია ვიზიტორისა და გუსინის შუა, აგრეთვე ორი ბლოკჰაუზი. ჩერნოგორელებმა ხელთ იგდეს ოთხი პულემიოტი, ორი დროშა და ბევრი ტყვე. ქალაქი ტუზი ალყა შემორტყმულია. 30 ენკენისთვეს პარლამენტორებს შორის კაპიტულიაციაზე მოლაპარაკება იყო. ოსმალონი მოითხოვდნენ, სკუტარისკენ თავისუფალი გზა მიეცათ ჩერნოგორელებს ტუზის ჯარისათვის (5000 კაცი). ჩერნოგორელები არ დაეთანხმდნენ. 1 ოქტომბერს ჩერნოგორელმა კვლავ აუტეხეს სროლა. საავადმყოფოში 400 ჩერნოგორელია, 20 ოსმალო, 18 მალისორი. ექიმთა პერსონალი ძლიერ მცირეა.

სტამბოლი. დიდ სახელმწიფოთა ნოტის საპასუხოდ პორტის მონდომილობით გარეშე საქმეთა სამინისტროს კანცელარიის უფროსმა ედხემ-ფაშამ გადასცა ელჩთა უფროსს მარკიზ პალავიჩინის, პორტის ნოტა, საცა ევროპის შუამდგომლობა რეფორმების განხორციელებაში უკუგდებულია.

ვენა. „კორესპონდენტთა-ბიურო“ სოფიიდან იტყობინება: თუ ოსმალეთი ოთხშაბათს არ მისცემს პასუხს ბულგარეთის ნოტაზე, ბულგარეთი პორტას ულტიმატუმს გადასცემს.

სტამბოლი. ბალკანეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა მიიღეს ცირკულიარული განკარგულება მთავრობისა, იმათ ევალებათ გადასცენ პორტას ბალკანეთის სასურველი რეფორმების მოთხოვნილება და დაუყონებლივი დემობილიზაცია.

ბელგრადი. 30 ენკენისთვეს, სერბიის მთავრობამ გადასცა ოსმალეთის ელჩს ნოტა, საცა ჩამოთვლილია ძირითადი რეფორმები, რაიც გააუმჯობესებს ქრისტიან მცხოვრებს; ოლქობრივი ავტონომია ბელგიელ ან შვეიცარიულ გუბერნატორის დანიშვნით, დაარსება საოლქო სკუპშჩინისა, ჟანდარმერიისა, სახალხო ჯარის დაწესება, თავისუფალი სწავლება სკოლაში. რეფორმების განხორციელება უნდა მიენდოს უზენაესს საბჭოს, საცა შევა თანაბარი რიცხვი ქრისტიანთა და მუსულმანთა წევრებისა, ეს საბჭო დაექვემდებარება დიდ სახელმწიფოთა ელჩებს და ბალკანეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს სტამბოლში. თანხმობის ნიშნად მოითხოვენ ჯარის დემობილიზაციას. ერთ და იმავე დროს გარეშე საქმეთა მინისტრმა გადასცა ავსტრიის და რუსეთის ელჩებს საპასუხო ნოტა.

პოდგორიცა. ოფიციალურ ცნობებით ჩერნოგორელებს ომის დაწყებიდან მოკლული ჰყავთ 256 წევრი და 800 დაჭრილი.

სოფია. 1 ოქტომბერს ოსმალეთის წარმომადგენელს გადასცა ნოტა. ნოტა თავის შინაარსით უახლოვდება სერბიის ნოტას.

ათინა. დაიწყო სხდომა დეპუტატების პალატისა. კრიტოსის დეპუტატები მიშვებულნი არიან სხდომაზე. კრიტის დეპუტატებს აღტაცებით მიეგებნენ. ვენიზელოსმა განაცხადა დღეის იქით იქნება ერთი პალატა საბერძნეთისა და კრიტისაო. ურჩია კრიტის დეპუტატებს დაბრუნება სამშობლოში და ხელ ახლა არჩევნებისათვის მზადება. ვენიზელოსმა სთქვა: ჩვენ გვინდოდა მშვიდობა, მაგრამ უბედურებასაც თამამად დავხვდებითო.

გაზეთებიდან.

საბერძნეთის გამოსვლა ბალკანეთის კავშირიდან.

როგორც ერთი გაზეთი იუწყება, საბერძნეთი აპირებს ბალკანეთის კავშირიდან გამოსვლას. საბერძნეთი ომის გამოცხადებას არც კი ჰფიქრობს. სხვა სახელმწიფოთა გულისყური აქეთკენ არის მიქცეული, რათა ამ რიგად ომი თავიდან აიცილოს. თუმცა ამის იმედი არა აქვთ, მაგრამ ბულგარეთისა და სერბიის ომის გამოუცხადებლობა მაინც აგულიანებთ.

ომი აუცილებელია.

სერბიის ელჩმა შეატყობინა „რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტს, რომ მშვიდობიანობის იმედი სრულიად არ არისო. ის ნივთიერი ზარალი. რაც მოუვიდა სახელმწიფოსაც და ხალხსაც მობილიზაციის მოწყობით, ომით თუ გამოისყიდებაო. აღტყინებულ, ომისთვის გამზადებულ ბრბოს შეჩერება და იარაღის წართმევა, შეუძლებელიც არისო. ხალხი ბრძოლისკენ მიილტვის. პორტის იმედები რეფორმების განხორციელებისა დაცინვაა და სხვა არაფერიო. მხოლოდ ბრძოლის ველზე გადასწყდება ბალკანეთის კრიზისიო, დააბოლოვა ელჩმა.

დღევანდელ ჩვენ გაზეთთან ურიგდება ორ-ორი სია კანდიდატებისა. ამომრჩევლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ **ერთი სია, რომელშიაც ორი კანდიდატია დასახელებული,** ეკუთვნის პირველ საარჩევნო უბანს (ბირჟის დარბაზში), ხოლო მეორე—**სამ კანდიდატიანი**—ეკუთვნის მეორე საარჩევნო უბანს (ზუბალაშვილების სახალხო სახლში). სია უნდა წაუშლელად და სუფთად დაკეცილი ჩაიდოს ქალაქის გამგეობის ბეჭედ-დასმულ კონვერტზე და ისე წარედგინოს საარჩევნო ყუთში ჩასაგდებად.

დღეს მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრთა ამომრჩეველთა არჩევნები.
არჩევნები დაიწყება **დილის 9 საათზე და გათავდება საღამოს 9 საათზე.**

მიეცით ხმა ჩვენგან დასახელებულ კანდიდატებს

მიზეზი ავსტრიის და რუსეთის უთანხმოებისა.

„ნეი-ფრე-პრესე“ სწერს: შეიძლება დახლართული მდგომარეობა როგორმე კეთილად დაბოლოვდესო, თუ ავსტრია და რუსეთი ერთსულოვნად იმოქმედებენო. ბალკანეთის სახელმწიფოები მიწა-წყლის გაფართოვებას ესწრაფვიანო. სერბია მოსაზღვრე სახელმწიფოა ავსტრიისა, მაშასადამე ავსტრიამ უნდა თავის ინტერესები დაიცვასო. სერბია კი რუსეთის დიპლომატიის სათაყვანებელ საგანს წარმოადგენსო. აი აქ იბადება ავსტრიისა და რუსეთის აზრის სხვა და სხვაობა და მოურიგებლობა.

რუსეთის პროტესტი.

რუსეთის ელჩმა გირსმა კატეგორიულად განუცხადა პორტას, რომ რუსეთი ვერ მოითმენს დარდანელის დახურვას. ამიტომ დღემდი სრუტეები თავისუფალია ნეიტრალური სახელმწიფოების გემთათვის.

ინგლისის პროტესტი.

ბრიტანიის ელჩმა შეატყობინა პორტას, რომ პურით დატვირთული გემების დაჭერა ომის გამოცხადებამდე პირ და პირი დარღვევაა საერთაშორისო უფლებისა და ამიტომ ინგლისი საზღაურს მოსთხოვს ოსმალეთს დატყვევებულ ხომალდების ზარალში.

ბრიგადირი ბოჟკოვიჩი.

პირველი ბრძოლის შემდეგ ჩერნოგორიის მეფემ მოიხმო ერთ-ერთი ბატარეის უფროსი, ბრიგადირი ბოჟკოვიჩი და საყვედური გამოუცხადა მას ჯარისკაცთა ცუდად გაწვრთნისათვის, რომელნიც ძლიერ ბევრ ყუმბარას ხარჯავდნენ უნაყოფოდ. ბოჟკოვიჩმა, რაკი საყვედური მოისმინა, იძრო რევოლვერი და იქვე თავი მოიკლა.

ჩერნოგორელების გამარჯვება.

ბელგრადიდან იტყობინებიან, რომ ჩერნოგორელებმა ბერანი აიღესო.

საბერძნეთ-ოსმალეთის საზღვარზე.

დისკატის ოლქში ათასი ბერძნისაგან შემდგარი რაზმი საზღვარს გადავიდა, მაგრამ ოსმალებმა გარეკეს იგი.

ბაში-ბუზუკები.

ძველ სერბიაში ბაში-ბუზუკები დათარეშობენ. იგინი მიესივნენ იბარის ნაპირებზე მდებარე სოფლებს და დიდიან-პატარიანად ამოსწყვიტეს.

რუსეთის მფრინავები.

სოფიას მივიდნენ რუსეთის ავიატორები, რომელნიც ბულგარეთის ჯარისთვის არიან მიწვეულნი.

საბერძნეთის სამხედრო ფლოტი.

საბერძნეთის ხუთი სამხედრო გემი, რომელიც ინგლისში იყიდეს ამ ბოლო დროს, საფრანგეთის ერთ-ერთ ნავთსადგურში, იმყოფება შეუიარაღებლად და ამ დღეებში წავა არქიპელაგის ზღვისკენ. ამბობენ, ამიტომ დაგვიანდა ოსმალეთისადმი ბალკანეთის კავშირის მიერ ულტიმატუმის წარდგენაო.

ჯარის იზოლიუცია.

ოსმალეთის სამხედრო მინისტრის განკარგულებით აკრძალულია სამხედრო პირებთან ურთიერთობის დაჭერა. განსაკუთრებით აკრძალეს გარეშე პირებთან ბაასი ჯარის მიმოსვლისას, ტრანსპორტების გადატანისა და მხედართა დანიშვნის შესახებ.

დატყვევებული გემები

„ოტომანთა სააგენტოს“ ცნობით მთავრობას გადაუწყვეტია დატყვევებული გემების განთავისუფლება.

კუნძულ სამოსის აჯანყება.

ოსმალთა ცნობით მდგომარეობა სამოსზე მეტად უნუგეშოა. მეამბოხეებმა დაიკავეს ვატის ნავთსადგური. რადგან სამოსის წყლებში იტალიელთა ესკადრა დასცურავს, ოსმალნი ვერ ახერხებენ დამხმარე ჯარის გაგზავნას; აჯანყებული კი ყოველ დღე მოელიან დამხმარენი საბერძნეთის იალქნიანი გემებით. სამოსის მთავარი ბეგლერ-ეფენდი იტყობინება: ჩემ სიცოცხლეს დიდი საფრთხე ელისო.

სკუპჩინის გადატანა

ომი დროს სკუპჩინის სხდომებს ნიშში გადაიტანენ.

მეომარი ქალი.

22 წლის ქალი იოლანოვიჩისა მოხალისეთა რაზმში ჩაეწერა; მას უარს ეუბნებოდნენ, მაგრამ, როდესაც მან თავის მოკვლა განიზრახა დასთანხმდნენ.

სერბიის ტახტის მემკვიდრე.

ტახტის მემკვიდრე გიორგი დუნაის დივიზიის ბრიგადის უფროსად დანიშნეს. ამ დანიშვნას მისი ავადმყოფობა უშლიდა ხელს, მაგრამ მემკვიდრემ მუქარა გამოსთქვა: ჩერნოგორიის ჯარში მოხალისედ ჩავეწერებიო.

კავკასიელი მოხალისენი.

კავკასიის „დრუჟინაში“ დღემდე 80 კაცი ჩაეწერა, ამდენივე ადესიდან შეუერთდება მას. რაზმს საკუთარი ფორმა აქვს: შავი კურტკა და წითელ-გამირიანი ქუდი. რაზმის საქციელმა ბევრ მოსკოველს აუშალა საღერღელი. სერბიის არქიმანდრიტ მიხეილთან მივიდა ვინმე მერჩანსკი, იაპონიის ომში გიორგის ჯვრით დაჯილდოვებული და განაცხადა: „კავკასიელებმა თავის შორეულ სამშობლოში შეაგროვეს ფული. გზავნიან თავის მშვენივრად მოწყობილ რაზმს. ჩვენ, მოსკოველნი რითი ვართ მათზე ნაკლებნი? ან შეიძლება ჩვენ მდიდარმა მოსკოვმა, ვერ შევძლოთ საკუთარი რაზმის მოწყობა? ნუ თუ ჩვენ ნაკლებ გვიწუხს გული თანამოძმე სლავიანთა უბედურებაზე?“

მან არქიმანდრიტისაგან ლოცვა-კურთხევა გამოითხოვა მოსკოვის რაზმის შესადგენად.

საბერძნეთის ელჩის წასვლა.

სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ საბერძნეთის ელჩმა გრიპარისმა მიატოვა სტამბოლი. სარაფოვისა და ნენადოვიჩის წასვლას ხვალ ელიან.

იტალია-ოსმალეთის ზავი.

რომი. სამშაბათს გადის ვადა, ოსმალოთ დელეგატებს რომ მისცეს. ან ზავი ჩამოვარდება, ან ფლოტი დაიწყებს მოქმედებას და მიზნად კუნძულების დაპყრობას კი არ დაისახავს, როგორც წინად, არამედ სულ სხვა მნიშვნელობას მიიღებს. შესაძლებელია დარდანელში შევიდეს კიდეც იტალიის ფლოტი, რადგანაც ამ შემთხვევაში იტალია თავისუფალ მოქმედების უფლებას იტოვებს.

უში. 30 ენკენისთვეს თათბირი ჰქონდათ იტალიის და ოსმ-ლეთის რწმუნებულებთ, იმედია მოლაპარაკება მალე დასრულდება.

უში. 1 ოქტომბრის მოლაპარაკებამ იტალიასა და ოსმალეთ შორის, საბოლოოდ არაფერი გადასწყვიტა.

მასწავლებელთა კურსები.

(ტერტერა, ჯევანშირის მაზრა).

ენკენისთვის 5-ში მოვიდნენ განჯადან დირექტორი ბ. პეტრუნინი, ინსპექტორი ბ. ნეკლეპაევი, სამოქალაქო სკოლის მასწავლებელი დ. ენუქიძე და გ. სარუხანოვი. კურსებზე ხელმძღვანელთა რიცხვში მოწვეული იყო შუშის სამოქალაქო სკოლის ინსპექტორი ბ-ნი ი. ი. რაზდორსკი.

6-ში კურსები დაიწყო. მოგროვდა 19 მასწავლებელი: 18 კაცი და 1 ქალი. 6 მასწავლებელი სხვა და სხვა მიზეზისა გამო ვერ გამოცხადდა. უმეტესი ნაწილი მასწავლებლებისა, სომხები იყვნენ, მათ შემდეგ თათრები და რუსები. ერია ორიოდე ქართველი მასწავლებელიც.

სამაგალითო გაკვეთილების მიცემამდე, დირექტორმა ბ. პეტრუნინმა, სიტყვით მიმართა მასწავლებლებთ.

რამოდენიმე მასწავლებელმა მშვენიერი მოხსენება წაიკითხა.

საყურადღებო მოხსენება წაიკითხა მასწ. ბ. ბეჟანიანცმა, მოხსენება დიდი იყო და საყურადღებოც. მან დაამოწმა სკოლაში შიდა რუსეთის ცხოვრებიდან ამოღებული სურათების შეუხამებლობა ჩვენი სკოლებისათვის; განსხვავება სამუშაო დროისა და იარაღისა რუსეთ და კავკასიის შორის. მაგალითად დაასახელა „ფენოს“ სურათები, რომელნიც ჩვენ სკოლებში იხმარება ზეპირ-სიტყვაობის სახელმძღვანელოდ. მაგალითად: შემოდგომა და პურის ლეწვა კევებით (საბეგველათი). პურის ლეწვის დროს რუსეთში ხეს ფოთოლი გაყვითლებული ან უკვე ჩამოცვენილი აქვს. ჩვენში კი, თითქო ჯერ კიდევ ამწვანებულია. და მრავალი სხვა.

ბ-ნმა ბეჟანიანცმა მოხსენებაში საყვედური გამოსთქვა სკოლებში დედა-ენის უპატივცემულობის გამო, დირექტორი განცვიფრებული შესცქეროდა: ვინ გიშლით, სამშობლო ენის შესაფერ დონეზე დაყენებასო?! 1881 წ. ცირკულიარი ძალაშია, ის არავის გაუუქმებიაო. უეჭველად იმ პროგრამის თანახმად უნდა ისწავლებოდეს ამის შემდეგ მაინც სთხოვა მასწავლებლებთ—სამშობლო ენისათვის საუკეთესო სახელმძღვანელოს გამორჩევა და 1881 წ. პროგრამით სწავლება.

საყურადღებო იყო მეორე მოხსენებაც დოვ. სკ. მასწ. ბ. ტერ-ასატუროვისა, რომელიც სამშობლო ენის გარშემო ტრიალებდა. „წინანი უკანანთვის ხიდიაო“ ნათქვამია. მასწავლებლები სანამ სამშობლონის შესახებ რამეს იტყოდნენ—იგონებდნენ ხოლმე ქუთაისის დირექციის სკოლების მასწავლებლებს, რომელთაც უწოდებდნენ სამშობლო ენისათვის თავდადებულებად“.

ბ. პეტრუნინი 4 დღის შემდეგ გამოემშვიდობა მასწავლებლებს და გაემგზავრა ნუხაში, სადაც ასეთივე კურსები იყო. კურსები ბ-ნ ნეკლეპაევის თავმჯდომარეობით გაგრძელდა. მეხუთმეტე დღეს მასწავლებლებთ სადილი გაუმართა ბ. ინსპექტორმა ნეკლეპაევმა. ამ სადილმა უკვდავ-ჰყო ამათ მეხსიერებაში ეს კურსები.

15-ს ნაშუადღევს ინსპექტორიც გამოემგზავრა განჯისაკენ და მასწავლებლებიც თავ-თავიანთ ბინისკენ გაეშურნენ.

ძევრკლდოვნელი.

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

(დასასრული *)

ორბელის საზოგადოების გლეხმა პავლე გიორგობიანმა მიმართა მგოსანს შემდეგი სიტყვით: შარშან ჩემი საუკეთესო შვილი წაიყვანეს ჯარის კაცად და, რუსეთის ჰავის მოწყალებით, მკვდარ-ცოცხალი მომივიდა სახლში; ორი კვირაა, რაც ის მივაბარე მიწას და ამის გამო, როგორც მხედავთ, საყვარელო მგოსანო, ძაძებში ვარ; მაგრამ გავიგე რა თქვენი მობრძანება, დამავიწყდა ყოველივე ჩემი უბედურება და გახელით, რათა მეც მენახა თქვენი დიდებული სახე. ღმერთს ვსთხოვ თქვენს დღეგრძელობას დს დიდხანს სიცოცხლეს!“

ლაილაშის გლეხების წარმომადგენელმა მ. ქარსელაძემ მიჰმართა მგოსანს სიტყვით და უსურვებს კეთილდღეობას.

და ბოლოს ჰრებალოს მეაფთიაქე კაკო დოღელიანმა აიღო ხელში ყანწი და საგულისხმო სიტყვა წარმოსთქვა.

ლაილაშის ნადიმი დასრულდა საღამოს რვა საათზე.

ათ საათზე მგოსანს მხლებლებითურთ გაუმართეს სალიტერატურო საღამო, რომელმაც ჩინებულად ჩაიარა. დამსწრეთ მგოსანმა წაუკითხა ლექცია არქეოლოგიურ ნაშთებზე. გერასიმე კუპრაშვილმა და ბევრმა სხვამ მგოსანს მიჰმართეს გრძნობიერის სიტყვებით.

მგოსანს უთხრეს აგრეთვე ბევრი ლექსები და გრძნობიერი სიტყვები; საღამო დამთავრდა ნაშუაღამევის პირველ საათზე.

ოთხშაბათს, პირველ ავვისტოს, დილის შვიდ საათზე ფეხზე ვიყავით, მგოსანმაც ადრე გაიღვიძა და შევემზადეთ ლაილაშიდან გამომგზავრებას ქუთაისისაკენ. რვა საათზე ჩაი დავლიეთ, მგოსნის გამცილებლებიც შეიკრიბნენ, ჩვენი მეეტლებიც მოვიდნენ, დავემშვიდობეთ ლაილაშლებს და გამოვსწიეთ; სანამ მდ. ლაჯანურას ნაპირზე მოვიდოდით დიდი დაღმართების გამო მხლებლები ფეხით მოვდიოდით, მგოსანი კი მარტო ეტლში იჯდა, გარშემო გამომცილებლები ერტყა და ცხენები ხელმოკიდებული მოჰყავდათ. ლაილაშლები ჩამოგყვენ ალპანამდე, იქაც დაგვხვდა რამოდენიმე კაცი და ქალი, მგოსანმა ცოტა ხანს დაისვენა, გადაიღო სურათი ლაილაშის და ალპანის კომიტეტთან, ერთი ეტლი გამოვიცვალეთ და გამოვსწიეთ ქუთაისისაკენ.

ლაილაშიდან გამოგვატანეს შემწვარი კალმახები შამფურებზე მგოსნის ხონჩებში ჩაწყობილი; გადავწყვიტეთ სად. ნამოხვანში გვესადილნა, ნაშუადღევის ორ საათზე ნამოხვანში ვიყავით, კიდევაც მოგვშივდა, შევაჩერეთ ეტლები, შევედით ერთი დუქნის დერეფანში, გავაშლევინეთ მედუქნეს სუფრა, მოვატანინეთ მჭიდები, პური, ღვინო და კალმახებიც მოვიკითხეთ, დავუწყეთ ძებნა; რადგან მარხვა დღე იყო დუქნებში არაფერი იშოვებოდა და ამ კალმახებით გვინდოდა ჩაგვეგემრიელებინა პირი, მაგრამ დახე ჩვენს უიღბლობას: ხონჩები შემწვარი კალმახებით ჰრებალოელ მეეტლეს გაჰყოლოდა, იმ მეეტლეს, რომელიც გამოვიცვალეთ ალპანაში; აკაკის ეგონა ტოლაში ნაჩუქარი ხონჩები თუ გაჰყვა მეეტლესო და თუ ხონჩებში კალმახებიც თან გაჰყვა, ეს როდი ეგონა, ამიტომ გვკითხა; „კალმახებიც ხონჩებს გააყოლეთ?!“ თქვენ მტერსროგორც ის გუნებაზე დადგა; გაგვიჯავრდა ყველას, მაგრამ რაღას გავაწყობდით, ჩვენც გაგვიშრა პირში ნერწყვი. მივიკითხ-მოვიკითხეთ ისევ დუქნებში და ვიშოვეთ ამოლესილი ხმელი ლობიო, ისიც თხელი და უმარილო, მოვსდექით და ორი-სამი საინი მოვსწმინდეთ თითოეულმა; მეხუთე საათზე გამოვსწიეთ და საღამოს რვა საათზე მოვედით ქუთაისში მტვრით დათეთრებულნი. იმ ღამეს მგოსანმა მოისვენა სასტუმროში, ნავახშმევს ლეჩხუმიდან დაკარგული ხონჩები კალმახებით მოსვლოდა, მაგრამ გვიან იყო. ორ აგვისტოს მგოსნის მხლებელნი შევიკრიბენით, წავიყვანეთ მგოსანი ფერმის ბაღში, გადავიღეთ სურათები, გამოვეთხოვეთ და გავისტუმრეთ.

ამ გვარად მოგზაურობა დამთავრდა თორმეტი დღის განმავლობაში; საზოგადოდ ამ მოგზაურობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველგან და დიდებულადაც ჩაიარა; აამოძრავა და გაამხიარულა ხალხი, აღადგინა მათში ეროვნული გრძნობები დაახლოვა და შეკავშირა ყველანი გაურჩევლად წოდებისა და მიმართულებისა. დიდი და პატარა ყველა ფეხზე იდგა, ყველა ხარობდა, ყველა დღესასწაულობდა და საერთო ეროვნულ ფერხულში იყო ჩაბმული. გაივლის დიდი ხანი და რაჭა-ლეჩხუმი ამისთანა ბრწყინვალე დღესასწაულს ვერ ეღირსება, ამიტომ ჩვენი მგოსნის მოგზაურობა სამუდამოდ დარჩება მათს ხსოვნაში. მგოსანმა თავისი დიდებული მოგზაურობით გაამხიარულა არა მარტო დღეს რაჭა-ლეჩხუმში მცხოვრებნი, არამედ უცხო ქვეყნებში გადახვეწილნიც, რომელთაგანაც მგოსანს რაჭა-ლეჩხუმში ყოფნის დროს მოსდიოდა დეპეშები ტფილისის, ბაქოს და სხვა და სხვა ქალაქებში მყოფ რაჭველებისაგან. მოგზაურობამ მშვიდობიანად ჩაიარა, არსად საწყენი რამ არ შეგვხვედრია, გარდა შემწვარი კალმახების ისტორიისა. ხარჯი მოგზაურობისა იკისრა რაჭველობამ და ლაილაშლებმა; ისინი უგზავნიდენ ფულს ამ მოგზაურობისათვის შემდგარ კომიტეტებს, მადლობის ღირსნი არიან ტფილისის, ქუთაისის, წესის, ონის და ლაილაშის კომიტეტები მოგზაურობის კარგად მოწყობისათვის, აგრეთვე კარგი ბინისათვის და მოსვენებისათვის წესში თავ. შამადავლე ერისთავი, ონში დავ. გოცირიძე, ნიკორწმინდაში დავ. კანდელაკი და ალ. სამოკვასოვი, სორში ბიჭია გოცირიძე, ტოლაში თავ. დიმ. ყიფიანი, ჰრებალოში რუბ. ყიფიანი და კაკო დოღელიანი, ლაილაშში თავ. ლევ. დადეშკელიანი ამხანაგებითურთ, და საკუთარის ხარჯით გამასპინძლებისათვის ამბროლაურში მინა გიორგობიანი და ხოტევში ქვრივი ტერეზია ჰიჭინაძისა და ივ. ჰიჭინაძე.

„აკაკის მოგზაურობა“ სინემატოგრაფით გადაღებული „რადიუმის“ თეატრში.

სექტემბრის 20-დან „რადიუმის“ ელექტრო-თეატრმა დაიწყო აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის სურათების ჩვენება; თეატრის პატრონებმა წინადღით დეპეშით აცნობეს საჩხერეში მგოსანს, და აგრეთვე სამოგზაურო კომიტეტის წევრებს.

ხუთშაბათს, 20 სექტემბერს, საღამოს მატარებლით ჩამობრძანდა აკაკი ქუთაისში კოტე აბდუშელიშვილის თანხლებით; სადგურზე შეხვდნენ მგოსანს თეატრის პატრონები პავლე მეფისოვი და ტიხონ ასათიანი და აგრეთვე ქუთაისის კომიტეტის წევრი სამსონ დათეშიძე. თეატრს ადრიანად მოაწყდა აუარებელი ხალხი, ბილეთების აღება შეუძლებელი გახდა, ერთი მეორეს ასწრებდნენ. თეატრის შესავალი, აგრედვე სავარძელი „ლოჟაში“, სადაც უნდა დაბრძანებულიყო მგოსანი, მორთული იყო ცოცხალი ყვავილებით. „სეანსები“ დაიწყეს საღამოს ექვსი საათიდან; რვის ნახევარზე გაჩერდა თეატრთან მგოსნის ეტლი; მგოსნის დანახვისთანავე ქუჩაზე თეატრის წინ შეკრებილმა ხალხმა და თეატრის შესავალშიც დასძახეს „ვაშა“, მუსიკამ მაღლიდან—დაუკრა შესახვედრი „მარში“ და „სულიკო“; მგოსანი დაბრძანდა ლოჟაში, სეანსი შეაჩერეს, დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით, იქნებოდა დაახლოვებით 500-ზე მეტი სული; საზოგადოება მგოსნის დარბაზში შესვლისას ფეხზე წამოდგა, შემობრუნდა მგოსნისაკენ და შესძახა „ვაშა“, „აკაკის გაუმარჯოს“, თან მოჰყვა დაუსრულებელი ტაშის ცემა. გაგრძელდა „სეანსები“, რომლის დროს უკრავდა „რადიუმის“ საკუთარი სიმებიანი ორკესტრი „პოპურის“ ქართული მოტივებიდან ავტორის აფანასიევის ლოტბარობით. ანტრაქტების დროს უკრავდა მუსიკა (სერგო ქუთათელაძის ორკესტრი „კოლხიდა“). ორივე ორკესტრი საინტერესო ხმებს გვასმენდა. 12 საათამდის მოესწრო ოთხი „სეანსი“, რომელსაც დაესწრო საშუალო რიცხვით ორი ათასი სული. სურათებში სადაც გამოჩნდებოდა მგოსანი საზოგადოებაში გახდებოდა ტაშის ცემა. მგოსანი დარჩა თეატრში თერთმეტ საათამდის, შემდეგ წაბრძანდა მოსასვენებლად. სურათების ჩვენება გაგრძელდება ერთ კვირას; ყოველ დღე ოთხი საათიდან დაწყებული 12 საათამდე აუარებელი ხალხი გროვდება თეატრთან. საზოგადოდ სურათები კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. კავკასიის სხვა და სხვა ქალაქებიდან, აგრეთვე **პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, ხარბინიდან და სტამბოლიდან** მიიღეს წერილები თეატრის მეპატრონეებმა და სთხოვენ მათ მოაწყონ იქაც სურათების ჩვენება.

ლადო ბზვანელი.

მოწერილი ამბები

ბანძა. (სამეგრელო) როგორც იქნა ეღირსა ბანძა ბიბლიოთეკას; ნებართვა რამოდენიმე ხანია მოსულია; მიწაც იყიდეს ბიბლიოთეკისთვის, სახლს აშენებენ; ბიბლიოთეკის სახლთან აშენებენ თეატრის სახლსაც, ორივე ამ მოკლე ხანში დასრულდება.

წრეულს რამოდენიმე წარმოდგენა გაიმართა ბანძაში. ბილეთებს თუ შარშან-წინ და შარშან ხელზე ჰყიდდნენ, წრეულს ეს არ დასჭირებიათ: ხალხი იმდენად დაინტერესებული იყო, რომ თავის ნებით მოდიოდა, არავისი ხვეწნა არ სჭირდებოდა. ეს აიხსნება იმით, რომ ბანძის სცენის მოყვარენი ძალიან მუყაითად ეკიდებიან საქმეს. დიდი ამაგი მიუძღვის ბიბლიოთეკა-თეატრის საქმეში ბ. ფოსტის უფროსს ს. ციხისთოვს მეუღლითურთ, ი. ნ. ფალავას და საერთოდ ბანძის ახალგაზრდობას.

ახალ კვირის ორშაბათს (აქაური დღეობაა) გაუმართავთ სეირნობა ადგილობრივ საქალებო სკოლის სასარგებლოდ; ბევრს შეუწირავს სხვა და სხვა ნივთები, სხვათა შორის თ. დ. დადიანს ძროხა. ბიბლიოთეკა-თეატრისთვის მიწა, რომელშიაც ოცდახუთ თუმანს აძლევდნენ, თავ. ალექსანდრე ფალავამ ას მანეთად დაუთმო.

ლ. კეკელია.

სხვა და სხვა ამბავი

უწმ. სინოდში.

სინოდის საზამთრო სესია 16 ოქტომბერს დაიწყება.

გზათა სამინისტროში.

გზათა მინისტრი მე-4 სათათბიროში შეიტანს კანონპროექტს სამინისტროს რეორგანიზაციისა და ახალი შტატების დაარსებისას.

სამღვდელოების პროგრამა მე-4 სათათბიროში.

სინოდს გადაუწყვეტია, გამოაქვეყნოს სამღვდელოების მოქმედების პროგრამა მე-4 სათათბიროში; პროგრამა შეიცავს საეკლესიო, საზოგადოებრივსა და ეკონომიურ საკითხებს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

სოფოკლეს „ანტიგონე“.

ანტიურ ტრაგედიის აღდგენის ცდა შედარებით სულ ახალი მოვლენაა. დღევანდელ თეატრს ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე ადამიანის დაქუცმაცებული სულის სხვა და სხვა ლტოლვის განსახიერება; იგი მოიღალა, დაახშო ჩვენი დროის რთული ცხოვრების ციებ-ცხელებამ. სასცენო ხელოვნება დღეს სხვა გზას ეძიებს: მას ჰსურს კვლავ დაიბრუნოს ის მარტივი სისრულე და ცხადლივობა, რომელიც ოდესმე ძველი ქვეყნის თეატრს ახასიათებდა. ამიტომ ამ ბოლო ხანს ევროპის თეატრი შეეცადა ძველ ბერძენთა ტრაგედიის აღდგენას, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი სცენა, განვითარებულ ტეხნიკის წყალობით, ილიუზიის შექმნაში პირდაპირ სასწაულს ახდენს, იგი მაინც ვერ მისწვდა ძველი ტრაგედიის საიდუმლოებას და მისი განზრახვა უნაყოფოდ დარჩა. ან კი როგორ შეუძლიან დღევანდელ ადამიანს ანტიურ მთლიანი სულის საიდუმლოს მიწდომა, იმ სულისა, რომელმაც არ იცოდა, თუ რა იყო ეჭვი ან ორჭოფობა აზრსა და მოქმედების შორის.

ქართულ სცენაზე წარმოდგენილმა „ანტიგონემ“ ზედმეტად ნათელჰყო ასეთ ცდის უნაყოფობა. ჩვენთვის სრულიად გაუგებარი დარჩა აზრი და შინაარსი სოფოკლეს უკვდავ ტრაგედიისა. რატომ? იმიტომ, რომ ბერძნულ ტრაგედიას ეგრეწოდებულ დითირამბულ ხოროსა და მსახიობთა შორის დამყარებული ურთიერთობა ახასიათებდა: იმ დროს, როდესაც მსახიობნი სცენაზე მოქმედობდნენ და მსმენელნი, მათი ქცევით აღელვებულნი, ერთგვარ სულიერ გამოხმობით ადევნებდნენ თვალ-ყურს, გამოდიოდა ხორო და თავისი სიმღერით თითქოს ადასტურებდა, ამფითეატრის ამა თუ იმ განცდას; იგი თითქოს შუამავალი იყო მსახიობებსა და მსმენელებს შორის და, მაშასადამე, სცენაზე შექმნილ სახეთა დამაგვირგვინებელ-დამსრულებელი. ხოროს შემწეობით მსახიობი და მსმენელი სულიერად ერთმანეთს უკავშირდებოდნენ და იქმნებოდა ერთი მთლიანი განცდა, რაც ძველ ტრაგედიის ერთი უმთავრესი მიზანი იყო.

ქართულ სცენაზე კი ასეთი კავშირის ნასახიც არსად სჩანდა; ხორო რაღაც განცალკევებულს, მსახიობთა მოქმედებასთან შეუთანხმებელს, რასმე წარმოადგენდა. ამასთანავე ორკესტრი ხშირად სრულიად ახშობდა მის გამოძახილს. ასე რომ, მსმენელის წინაშე ცალ-ცალკე იშლებოდა ქცევა მსახიობისა, ხოროსი და ორკესტრისა რაც მეტად აძნელებდა გულისყურის მუშაობას.

რასაკვირველია, „ანტიგონე“-ს წარმოდგენის ასეთი ნაკლი კერძოდ ჩვენი დასის ბრალი არაა—მას, ეტყობა, შეძლების დაგვარად გულდასმით უმუშავნია, ხოლო თუ დასახულ მიზანს მაინც ვერ მიაღწია და ვერ შესძლო ანტიურ სანახაობის აღდგენა, ეს საზოგადოდ დღევანდელ თეატრის უძლურებას უნდა მიეწეროს.

წარმოდგენის წინ ტრაგედიის მთარგმნელი, ბ. გვაზავა შეეცადა პიესის შინაარსის გაშუქებას. მან ანტიგონეს ტრაგედია და აქედან წარმომდგარი კატასტროფა. ინდივიდუალურის ნებისა (პიროვნების თავისუფლების) და სახელმწიფოებრივ ძალის შეტაკებად დაგვიხატა. მისის აზრით, ინდივიდუალურ ნების მატარებელი ანტიგონე წინაალუდგა სახელმწიფოებრივ ძალის წარმომადგენელს, მეფე-კრეონს, როგორც ზეციური ნება მიწიერს და დაამარცხა კიდეც იგი. ამ აზრის დასამტკიცებლად მომხსენებელმა მოკლე ისტორიული მიმოხილვა გააკეთა, თუ სხვა და სხვა დროს როგორ უყურებდა კაცობრიობა ამ საკითხს,—სახელმწიფოებრივისა და ინდივიდუალური ნების ურთიერთობას,—და დაასკვნა, რომ ეს უკანასკნელი ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა რადგან იგი არის სწორედ „თუმცა დაუწერელი, მაგრამ უზენაესი კანონი“, როგორც ტრაგედიის სიტყვები გვამცნებსო.

ჩვენის აზრით კი „ანტიგონე“-ს შინაარსის ასეთი გაშუქება ვერ არის სავსებით სწორი და მართებული. პირიქით, კრეონი, ეს უკიდურესი ინდივიდუალობის გამომსახველი, თავის მიერ შექმნილ მიწიერის კა-

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 710.

ნონით შეებრძოლა მსოფლიოს გარდუვალობას, ულმობელ ბედისწერას, რომელიც, ძველ ბერძენთა რწმენით, იმთავითვე სწყვეტდა ადამიანთა ყოველგვარ მოქმედებას და ამიტომ როგორც განკერძოებული „მე", სასტიკად მარცხდება. ანტიგონე—ეს ხალისი შიკრიკი სიცოცხლისა—ასული ბედისწერისა, რადგან ღვიძლი შვილისა და დედის საშინელ სიყვარულისაგან იშვა. მან იცის, რომ ადამიანის ყოველი ფიქრი და საქმე ერთხელ და სამუდამოდაა ბედისწერისაგან განსაზღვრული, რომელსაც ვერ გადავა თვით მეფეც კი. ამიტომაა, რომ მას დანაშაულად არ მიაჩნია კრეონის განკარგულების დარღვევა თავის უბედურ ძმის დამარხვის შესახებ. მან იცის, რომ ზნე-ჩვეულება და რჯული თემისა კანონია იმ „ზეციურ ნებისა", რომელსაც ბედისწრას ეძახიან და, მაშასადამე, კრეონი თვით არის დამნაშავე, როგორც ამ ჩვეულების დამრღვევი. ანტიგონე ყურმოჭრილი მონაა თემის რჯულისა: იგი არ მოერიდება მეფის რისხვას, წავა და წესისამებრ დამარხავს მინდვრად ყვავყორნის კერძად დაგდებულ ძმის სხეულს რადგან მტკიცედაა დარწმუნებული, რომ იგი ამგვარის მოქმედებით ბედისწერის გარდუვალ ნებას ასრულებს; იგი ერთგული ქურუმია იმ „დაუწერელ კანონისა", რომლისადმი მორჩილებით ასე სასტიკად ამარცხებს მსოფლიოსაგან გამოთიშვის მოსურნე კრეონს.

ამ გვარად, „ანტიგონე"-ში დაპირდაპირებულია ორი მოწინაალმდეგე, მაგრამ უთანასწორო—ძალა: მიწიერი, ინდივიდუალური „მე" (მეფე კრეონი) და ზეარსი, გარდუვალი ბედისწერა, რომლის იარაღი ქალწული ანტიგონე, ხოლო მამხილებელი კი—მოხუცი-მისანი ტირეზი. სოფოკლეს ტრაგედია სრულქმნილი ღალადისია ამ უკანასკნელის მძლეობა—გარდუვალობისა.

რაც შეეხება მსახიობთა მოქმედებას, იგი თითქმის უნაკლო იქნებოდა, რომ კრეონის როლის ამსრულებელს არ ჩაეშხამა საერთო შთაბეჭდილება. უნდა გამოვტყდეთ, რომ ძლიერ გვეჩოთირება მსახიობის თამაშის ისეთ ნაკლზე მითითება, როგორიც როლის უცოდინარობაა. გუშინდელი კრეონი, გარდა იმისა, რომ მეტად უფხო და უმოძრაო იყო, ახლად ენა ადგმულ ბავშვივით ლაპარაკობდა. მის თამაშში არსად სჩანდა იმ უტეხი ნების ცეცხლით ალტყინებული თვისება მეფე-კრეონისა, რომლის მეოხებითაც იგი შესაბმელად იწვევდა თვით ციურ ძალას.

სამაგიეროდ შეუდარებელი ანტიგონე იყო ქ-ნი დავითაშვილი. მისი პლასტიკით აღსავსე მიმოხვრა, მტკიცე, ნაკადივით მორაკრაკე კილო და უმეტეს, ანტიგონეს სულის ძძიმე ტანჯვის სავსებით განცდა-განსახიერება, მგონი უკეთეს გამომხატველს ვერ ინატრებდა.

ბ. ზარდალიშვილი ჭეშმარიტი სახე იყო გემონისა, რომელიც ანტიგონეს წრფელი სიყვარულის მძლეობით ეურჩება სასტიკ მამას და თავისი სიკვდილით აუხელს მას თვალს.

ბ. მგალობლიშვილსაც (დარაჯი) არ დაედებოდა წუნი, რომ მეტად არ ჩქარობდეს და ხშირად უადგილოდ არ უქცევდეს კილოს.

სიჩქარე და სულდაუოქმელობა საერთო ნაკლი იყო ყველა მსახიობისა: ისე ართმევდნენ ერთმანეთს სიტყვას თითქოს ჩქარა გამოსათქმელში გაჯიბრებულანო.

საზოგადოდ წარმოდგენას ნაკლებად ეტყობოდა რეჟისორის ხელი.

კოლხი.

ქ. ბათუმი. 27-ს სექტემბერს, ქართულმა დრამატ. დასმა „მოგზაურმა" ნოვოროსიიდან დაბრუნების მერე, წარმოადგინა 4 მოქ. დრამა ნათაძისა **„ლევან ეგანაძე"**. ეს მესამე წარმოდგენა იმართება ბათუმში, რაც სეზონი გაიხსნა. თუმცა პირველ და მეორეს იმდენი ხალხი არ დაესწრო, მესამეს საკმაოდ მოაწყდა, რადგანაც ხუთშაბათი იყო, როდესაც მუშა ხალხი მოცლილი არ არის, უფრო ინტელიგენცია დაესწრო.

პიესა საზოგადოდ კარგად ჩაატარეს. ბოლოს გაიმართა დივერტისმენტი. ბ-ნმა ჩაგუნავამ, ყალაბეგიშვილმა და კორიშელმა რამდენიმე სიმღერა სთქვეს; რამაც საზოგადოების დაუსრულებელი ტაშის ცემა გამოიწვია. წაიკითხეს ზოგიერთი სცენები და ბოლოს „ვაი-ვაი" იმღერეს.

დასი მეორე დღეს სოხუმს გაემგზავრა.

ჭოობარელი.

ბაქო. შაბათს, 29 სექტემბერს, ბაქოშიაც დაიწყო სეზონი ქართულ წარმოდგენებისა. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბაქოს განყოფილებასთან არსებულ დრამატიულ სექციას ფიქრად ჰქონდა ეს სეზონი საგანგებოდ მოეწყო: განზრახული იყო მოწვევა გამოცდილ რეჟისორისა და მსახიობ ქალისა. სამწუხაროდ, ეს განზრახვა ვერ განხორციელდა. წელს სასცენო ხელოვნებას ჩვენს ქვეყანაში ბედმა გაუღიმა: ბევრგან შესდგა დრამატიული დასები, მსახიობს, როგორც გაზეთებიდან სჩანდა, სანთლით დაეძებდნენ და ბაქოსთვის ველარავინ მოიცალა. რეჟისორი ვერ მოიწვიეს რაც მეტად დასანანებელია: სწორედ რეჟისორი იყო და არის საჭირო ბაქოელ სცენის-მოყვარეთათვის. მართალია, რამდენიმე გამოცდილი და დახელოვნებული სცენის-მოყვარე მოაკლდა ბაქოს—ზოგი წავიდა აქედან, ზოგიც სხვა და სხვა მიზეზით ველარ მუშაობს,—მაგრამ მხნე რეჟისორი ეხლანდელ ძალებითაც ბევრ რამეს გააკეთებდა. მოიწვიეს ტფილისიდან მხოლოდ ქ-ნი ვიქტორელი, ჯერეთ სულ ახალგაზდა მსახიობი ქალი. წარმოდგენებს რეჟისორობენ მორიგეობით ორნი—ბ-ნნი ამაშუკელი კდა ა. ახობაძე. მონაწილეობას იღებდა აგრედვე ქართული სცენის ძველი მსახიობი ქალი ქ-ნი ქეთევან ანდრონიკაშვილი.

29 სექტემბერს დასდგეს ისტორიული პიესა „თამარ ბატონიშვილი." ვერაფერი არჩევანი იყო ამ პიესისა პირველ წარმოდგენისთვის. სასურველი არ იყო ამ პიესის დადგმა არა იმიტომ, რომ იგი ისტორიულია, არამედ იმიტომ, რომ „თამარ ბატონიშვილი" მეტად პრიმიტიული პიესაა და, როგორც დრამატიული და ხელოვნური ნაწარმოები, ძალზე სუსტია. ასეთ პიესის წარმოდგენას აზრი აქვს იმ შემთხვევაში, თუ საგანგებოდ დაიდგმება ახალი დეკორაციებით, ტანისამოსით და სხვა მოწყობილებით, რომ მაყურებელს, რამდენადაც შესაძლებელია, თვალწინ ძველი ცხოვრების სურათი გადაუშალოს.

წარმოდგენამ საერთოდ უგულოდ ჩაიარა. მოთამაშეებმა სული ვერ ჩაჰბერეს პიესას. თითქო მომზადებულიყვნენ კიდეც, მაგრამ ის, რაც სცენაზე ხდებოდა, მაყურებელზე არა მოქმედებდა. გესმოდა მხოლოდ ცარიელი სიტყვები და ოცნებას მასალა არ ეძლეოდა, რომ მაყურებელი პიესის გმირების მდგომარეობაში შესულიყო, მათის ჭირისა და ლხინით გამსჭვალულიყო. ზედაც რამდენიმე შეუფერებლობა დაერთო: სცენის გარედ რამდენჯერმე დამბაჩა არ გავარდა. ამის ნაცვლად იატაკზე რაღაც დაჰკრეს, ვითომ დამბაჩა გავისროლეთო. სამეფო ტახტი პატარა გაეკეთებინათ და ლაშა-გიორგის როლის ამსრულებელი ბ-ნი ამაშუკელი, ბუნებით ახოვანი კაცი, ოთხად მოკეცილი იჯდა. ეტყობოდა, უხერხულად გრძნობდა თავს. გრიმი არც ერთ მოთამაშეს არ უვარგოდა.

ამ საღამოს კარგი თამაშით გამოირჩეოდა ქ-ნი ანდრონიკაშვილი. იგი რუსუდანის როლს ასრულებდ . ასეთ როლებში ანდრონიკაშვილს ქართულ სცენაზე ტოლი არა ჰყავს. ქ-ნი ვიქტორელი, როგორც ზევითაც ვთქვი, ახალგაზდა მსახიობია და ბაქოელებისთვის სულ უცნობი. მით უფრო სასურველი იყო პირველად ისეთ რიგში გამოყვანა, რომ თავისი ნიჭი და უნარი დაენახვებინა დამსწრეთათვის. თამარი ხსენებულ პიესაში მკრთალად არის დასურათებული. იგი უმოქმედო და უსიცოცხლო არსებაა. მთელ პიესაში ტირილისა და წუწუნის მეტს არას აკეთებს. ასეთი როლის გაცხოველება კი გამოცდილ მსახიობსაც გაუჭირდებოდა. ისიც კარგი იყო, რომ ვიქტორელს როლი არ გაუფუჭებია.

დანარჩენებში არა უშავდათ რა გ. პავლიაშვილს (ივანე არღუთაშვილი) და რამდენადმე ამაშუკელს (ლაშა გიორგი), მატარაძეს (შალვა) და მეოთხე მოქმედებაში ახობაძეს.

დაუსრულებელმა ანტრაქტებმა ყველას გული გაუწყალა.

შემდეგი წარმოდგენა გაიმართება კვირას, 7 ოქტომბერს. დასდგამენ მხიარულ კომედიას და ვოდევილს.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ „სახალხო გაზეთის" საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ქალბატონს ე. ვასაძისას, ბ-ნთ ლ. გ. ბოცვაძეს, მ. ჯანაშვილს, ბერიძეს, ტ. კვარცხალიას და ვ. ი. ლ—ს, რომელთაც ზუგდიდის აკაკის სახელობის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შემოსწირეს 106 ცალი სხვა და სხვაგვარი წიგნი.

ზუგდიდის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს წევრთა მონდობილობით

ექ. იას. მუჯირი.

დიდათ პატივცემულო

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ქართულ დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარეს ბ-ნ ნ. გ. ქართველიშვილს ქართულ თეატრში უფასოდ საუკეთესო ადგილების დათმობისათვის კვირას, 30 სექტემბერს „ანტიგონას" წარმოდგენაზე.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიის 7 კლასის მოსწავლენი და მასწავლებელნი: **ბლად. ალ. ღერსამია, ლ. ჩიმაკაძე და ს. ქვარიანი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

№ 4711
სქელი პუდრი
კანს ხავერდ საკით ანაზებს და ალამაზებს
ფირ. მიულჰენსი
კოლოფი 30 კაპ. ✦ პარფიუმერია № 4711
მისი იმპერატ. უდიდ. სასახლის [illegible]

Метцъ 309266 309286

1434.

მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, სიღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: სააგარაკო მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, ილ. 8 ს. 45 წ.

ჯულუფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III. კლ. ვაგონ., სიღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, სიღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათუმიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, სიღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: საგარაკ. № 76 a*, სიღ. 8 ს. 28 წ. **საავ.** № 76 **, ნაშუადღ 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9/10 სიღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80/81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-თხიპოვისა ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შენახვაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზეპირად დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, აზრეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანიძე** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10. 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიი ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური"

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედესერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**" ტელ. 82.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606"—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. ქ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1078 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ქ. გორში
იყიდება ძველ კვირაცხოვლის ქუჩის კუთხეში **ორ სართულიანი ახლად აშენებული სახლი,** სარდაფით და შუშაბანდით. ნახვა ამ შენობისა შეიძლება დილის 10—2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე. 693

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,
გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, **№ 34**, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში [illegible] საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 1—12 ს.-მდე) მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** 1037.

ფეხსაცმელები
თომა [illegible] მაღაზია-სახელოსნოში.
მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები.

683.

პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლა-დამთავრებული, თავისუფალი ხელოვანი
ე. გ. ქიქოძისა
აძლევს მუსიკის (როიალი)
გაკვეთილებს.
სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 11.
651.

ვკისრულობ:
1. დაგირავებას და გადაგირავებას [illegible] მამულებისას როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში.
2. უძრავ ქონებათა ყიდვა-გაყიდვას.
3. მადნეულობის გამოკვლევას და [illegible]შავებას.
4. ყოველგვარ არზების და პირობის ქაღალდის შედგენას.
5. ხე-ტყის მასალის მსყიდველის და გამსყიდველის შოვნას. მთხოვნელებს ვიღებ ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღისა, დილის თერთმეტის ნახევრიდან 12 საათამდე და საღამოთი ექვსიდან 7 ს.-მდე. **ბინა: ქ. ტფილისი, გოლ. პროსპ.**, სახლი მანთაშევისა, სასტუმრო „უნივერსალი", № 3. ტელეფონი № 499. **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე** 1496

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა **„მემოგრობა"**, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი"
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

16 ენკენისთვიდან, გამოდის ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი
რედაქცია იმყოფება:
ტფილისი, გაბაანთ შესახვ., № 3 რედაქცია „კლდე"
წლიური ფასი . . . . 5 მან.
ამა 1912 წლ. დამლევამდე . . . 1 „ 50 კ.
თვეში . . . . — „ 50 კ.
(სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მანეთად).
რედაქცია ღიაა ყოველ დღე 11—1 საათამდე. 1495.

გამოსულია და იყიდება
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებანი

I	ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო" ფასი „ „ „	75 კ.
II	„ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „	80 კ.
III	„ „ნააზრევი" „ „ „ „ „ „ „ „	65 კ.
IV	„ წერილები „ცნობის ფურც."-„მოამბ." 1901—1902 წ. „	85 კ.

ცინკოგრაფია
ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ
კლიშეების დამზადებას.
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. თ.—1307

ახალი კლუბი
„ახალი კლუბის" მამასახლისთა **საბჭო**
ამით აცხადებს, კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა საყურადღებოდ, რომ **1 ღვინობისთვიდან, კლუბი გადმოდის ზამთრის შენობაში.** ამ დღიდან საზაფხულო სეზონის ბილეთები უქმდება და ეკარგებათ ძალა.
1536.

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
ამით აცხადებს, რომ **ოქტომბრის სამში** 1912 წ., შუადღის 12 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ქალაქას საყასბოზე დაკლულ საქონლისა და ღორის
დაფუნებულ კონის გასასყიდად.
ცნობების გასაგებად უნდა მიმართონ ქალაქის გამგეობის მე-3 განყოფილებას. 1537.

პუშკინის ქუჩაზე, № 9,
იძლევა ქირით
ორი დიდი თვალი მაღაზია,
შეიძლება შუაზედაც გაიყოს **ორ დუქნად.**
მაღაზიის ზევით მეორე სართულში
ქირით იძლევა ახლად შეკეთებული **ხუთი ოთახი,**
კუხნით, წყლით და ყოველივე მოწყობილობით.
პირობების შეტყობა მსურველთ შეუძლიანთ იქვე,
ძმ. ძეგველოვების თევზის მაღაზიაში.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა".